ამონაგების აღიარება. ამონაგები საქონლის რეალიზაციიდან მაშინ აღიარდება, როდესაც მყიდველს საქონელი მიეწოდება და საკუთრების უფლება გადაეცემა. ამონაგების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით, ფასდათმობებისა და საქართველოში მოქმედი რეალიზაციასთან დაკავშირებული გადასახადების გამოკლებით.

სესხის სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები. სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები აღიარდება იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც გაწეულ იქნა.

ძირითადი საშუალებები. ძირითადი საშუალებების შეფასება ხდება დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალით შემცირებული თვითღირებულების თანხით.

ცვეთის დარიცხვა ხდება ნარჩენი ღირებულებით შემცირებული აქტივების თვითღირებულების განაწილების მიზნით მათი სავარაუდო სასარგებლო მომსახურების ვადაზე, წრფივი მეთოდის გამოყენებით. ძირითად საშუალებებზე ცვეთის დასარიცხად გამოიყენება შემდეგი წლიური განაკვეთები:

შენობა-ნაგებობები	2 პროცენტი
მანქანა-დანადგარები	5 პროცენტი
საოფისე აღჭურვილობა, ავეჯი და ინვენტარი	10 პროცენტი
სატრანსპორტო-საშუალებები	10 პროცენტი

თუ არ არსებობს ნიშანი იმისა, რომ ცვეთის ნორმა, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა, ან ნარჩენი ღირებულება მნიშვნელოვნად შეიცვალა, ახალი მოლოდინის ასახვის მიზნით, მოცემული აქტივის ცვეთა შესწორდება პერსპექტიულად.

აქტივების გაუფასურება. ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის ტარდება ძირითადი საშუალებების განხილვა, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა რაიმე ნიშანი იმისა, რომ აღნიშნული აქტივები გაუფასურებულია. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს შესაძლო გაუფასურების ნიშანი, შეფასდება ნებისმიერი აქტივის (ან დაკავშირებულ აქტივთა ჯგუფის) ანაზღაურებადი ღირებულება და შეუდარდება მის მიმდინარე საბალანსო ღირებულებას. თუ შეფასებული ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია, საბალანსო ღირებულება შემცირდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

ანალოგიურად, ყოველი საანგარიშგებო თარიღისთვის შეფასდება მარაგების გაუფასურება, რისთვისაც მარაგების თითოეული ერთეულის (ან ანალოგიური ერთეულების ჯგუფის) საბალანსო ღირებულება შეუდარდება მისი დასრულებისა და რეალიზაციისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფასს. თუ მარაგების ერთეული (ან ანალოგიური ერთეულების ჯგუფი) გაუფასურებულია, მისი საბალანსო ღირებულების შემცირება ხდება პროდუქციის დასრულებისა და რეალიზაციისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფასამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში, ან ზარალში.

იმ შემთხვევაში, თუ შემდგომში მოხდება გაუფასურების ზარალის აღდგენა/კომპენსირება, აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) საბალანსო ღირებულება გაიზრდება აქტივის ანაზღაურებადი ღირებულების (მარაგების შემთხვევაში-პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით

შემცირებული სარეალიზაციო ფასის) შესწორებულ შეფასებულ სიდიდემდე, მაგრამ არ გაიზრდება იმ თანხაზე მეტად, რომელიც განისაზღვრებოდა იმ შემთხვევაში, თუ წინა წლებში არ მოხდებოდა აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) გაუფასურების ზარალის აღიარება. გაუფასურების ზარალის აღდგენის (კომპენსირების) თანხა დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში, ან ზარალში.

იჯარა. იჯარა ფინანსურ იჯარად კლასიფიცირდება მაშინ, როდესაც იჯარის პირობები ითვალისწინებს იჯარით გაცემული აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული ფაქტობრივად ყველა რისკისა და ეკონომიკური სარგებლის გადაცემას. ყველა სხვა იჯარა კლასიფიცირდება საოპერაციო (ჩვეულებრივ) იჯარად.

მარაგები. მარაგების აღიარება ხდება თვითღირებულებასა და პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფასს შორის უმცირესი თანხით. თვითღირებულება გაიანგარიშება საშუალო შეწონილი ღირებულების მეთოდით.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები. რეალიზაცია, ძირითადად, ხორციელდება ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით და დებიტორულ დავალიანებას პროცენტი არ ერიცხება. იმ შემთხვევაში, როდესაც საკრედიტო ვადები აღემატება ჩვეულებრივ საკრედიტო ვადებს, მოთხოვნების შეფასება ხდება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით. ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს გაანალიზდება სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულებები, რათა დადგინდეს არსებობს თუ არა ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ეს თანხები არ არის ამოღებადი. ამგვარი მტკიცებულებების არსებობის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

სავაჭრო ვალდებულებები. სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით აღებულ ვალდებულებებს და პროცენტი არ ერიცხება. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო ვალდებულებები გადაანგარიშდება კომპანიის სამუშაო ვალუტაში, საანგარიშგებო თარიღისათვის არსებული კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი ნამეტი ან ზარალი აისახება ფინანსურ შემოსავალში ან ფინანსურ ხარჯებში.

ბანკის სესხები და ოვერდრაფტები. საპროცენტო ხარჯი აღიარდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით და აისახება ფინანსურ ხარჯებში.

პერსონალის ხარჯი და დაკავშირებული შენატანები. ხელფასები, ანაზღაურებადი წლიური შვებულება და ავადმყოფობის გამო შვებულება, ბონუსები, არაფულადი სარგებელი და საპენსიო სააგენტოში შენატანები დაირიცხება იმ წელს, რომელ წელსაც გაწეული იქნა შესაბამისი მომსახურებები კომპანიის თანამშრომლების მიერ.

ფინანსური ანგარიშგების შესწორება გამოშვების შემდეგ. ნებისმიერი ცვლილება წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაში მისი გამოშვების შემდეგ მოითხოვს მის დამტკიცებას კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ, რომლის მიერაც მოხდა გამოშვებული ფინანსური ანგარიშგების ავტორიზება.

3. მცირე და საშუალო ზომის კომპანიებისთვის განსაზღვრული საერთაშორისო სტანდარტის („მსს ფასს სტანდარტი“) პირველადი ადაპტაცია

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება წარმოადგენს კომპანიის პირველ ყოველწლიურ ფინანსურ ანგარიშგებას, რომელიც შეესაბამება მსს ფასს სტანდარტს. კომპანიის მსს ფასს სტანდარტზე გადასვლის თარიღია 2018 წლის 1 იანვარი. გარკვეული გამონაკლისების გარდა, 35-ე განყოფილება მოითხოვს სტანდარტისა და ინტერპრეტაციების რეტროსპექტიულ გამოყენებას, რომელიც ძალაშია 2019 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის, ეს ვერსია გამოყენებულ იქნა ფინანსური მდგომარეობის 2018 წლის 01 იანვრის დასაწყისში მომზადებისას და მსს ფასს სტანდარტის პირველი საანგარიშო პერიოდის დასრულებამდე შემდგომ პერიოდებში.

წინა მომზადების საფუძველით კომპანიას არ ევალებოდა და არ ახდენდა მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგების შედგენას და გამოქვეყნებას.

4. კრიტიკული სააღრიცხვო პროგნოზები და შეფასებები სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას

კომპანია აკეთებს ისეთ პროგნოზებსა და დაშვებებს, რომლებიც ზეგავლენას ახდენს ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარებულ თანხებზე და აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებზე მომავალი ფინანსური წლის განმავლობაში. პროგნოზები და შეფასებები მუდმივად გადაიხედება და ეფუძნება მენეჯმენტის გამოცდილებას და სხვა ფაქტორებს, მათ შორის, იმ მომავალი მოვლენების მოლოდინს, რომლებიც მოცემულ ვითარებაში რეალისტურად მიიჩნევა. გარდა პროგნოზებისა, ხელმძღვანელობა აკეთებს აგრეთვე შეფასებებს. ქვემოთ განხილულია ის შეფასებები და პროგნოზები,

რომლებმაც პოტენციურად შეიძლება გამოიწვიოს მომავალი ფინანსური წლის განმავლობაში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულების მნიშვნელოვანი კორექტირება.

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადა. ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრა განსჯის საკითხია და ეფუძნება მსგავს აქტივებთან დაკავშირებულ გამოცდილებას. აქტივებში განივთებული სამომავლო ეკონომიკური სარგებელი ძირითადად გამოყენებისას მოიხმარება. თუმცა, სხვა ფაქტორები, როგორიცაა მაგალითად ტექნიკური, ან კომერციული მოძველება და მორალური ცვეთა, ხშირად იწვევენ აქტივებში განივთებული ეკონომიკური სარგებლის შემცირებას.

ხელმძღვანელობამ დარჩენილი სასარგებლო მომსახურების ვადები შეაფასა აქტივების ამჟამინდელი ტექნიკური მდგომარეობის და იმ პერიოდის შესაბამისად, რომლის განმავლობაში მოსალოდნელია, რომ აქტივები სარგებელს გამოიმუშავენ კომპანიისთვის. გათვალისწინებული იქნა შემდეგი ძირითადი ფაქტორები: (ა) აქტივების მოსალოდნელი გამოყენება; (ბ) მოსალოდნელი ფიზიკური ცვეთა, რაც დამოკიდებულია საოპერაციო ფაქტორებზე და მოვლა-შენახვაზე და (გ) საბაზრო პირობების ცვლილებებით გამოწვეული ტექნიკური, ან კომერციული მოძველება, ან მორალური ცვეთა.

საეჭვო ვალების რეზერვი. კომპანიის მენეჯმენტი რეგულარულად ახორციელებს სავაჭრო დებიტორების გაუფასურების შეფასებას. ამ პროცესში კომპანია იყენებს მნიშვნელოვან დაშვებებს და განსჯას გაუფასურების თანხის შეფასებისას იმ შემთხვევაში როდესაც დებიტორს აქვს ფინანსური პრობლემები და ამასთანავე რელევანტური ისტორიული მონაცემები არ არის ხელმისაწვდომი. ამის მსგავსად, მომავალი ფულადი ნაკადების შეფასებისას კომპანია ეყრდნობა დაკვირვებად მონაცემებს, მათ შორის უარყოფითს რომლებიც ეხება დებიტორების ჯგუფების დონეზე გადახდისუნარიანობის გაუარესებას, ან ზოგად ეროვნულ ან საერთაშორისო ეკონომიურ პირობებს რომლებიც კორელაციაშია ჯგუფის აქტივების გადახდისუნარიანობის სტატუსთან.

საწარმოს უწყვეტობის პრინციპი. წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპზე დაყრდნობით (საწარმოს უწყვეტობა), რაც გულისხმობს აქტივების რეალიზაციას და ვალდებულებების დაფარვას ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში. ამ შეფასების გაკეთებისას ხელმძღვანელობამ იხელმძღვანელა კომპანიის ფინანსური მდგომარეობით, ოპერაციების შედეგებით, არსებული განზრახვებითა და მომავალი ოპერაციების ანალიზით.

5. ძირითადი საშუალებები

	მიწა	შენობები	დაუმთავრებელი მშენებლობა	მანქანა- დანადგარები	ოფისის აღჭურვილობა	ავიჯი და სხვა ინვენტარი	სატრანსპორტო საშუალებები	სულ
01.01.2018	188	2,568	-	2,836	101	65	29	5,787
შესყიდვები/კაპიტალიზაცია	-	-	-	24	3	-	-	27
კორექტირების შედეგი	-	-	-	-	-	23	-	23
31.12.2018	188	2,568	-	2,860	104	88	29	5,837
შესყიდვები/კაპიტალიზაცია	-	-	2,052	4,308	17	2	13	6,392
31.12.2019	188	2,568	2,052	7,168	121	90	42	12,229

ცვეთა და გაუფასურება

01.01.2018	-	(297)	-	(668)	(57)	(39)	(17)	(1,078)
მიმდინარე წლის ცვეთა	-	(51)	-	(142)	(10)	(6)	(3)	(212)
31.12.2018	-	(348)	-	(810)	(67)	(45)	(20)	(1,290)
მიმდინარე წლის ცვეთა	-	(51)	-	(199)	(11)	(7)	(4)	(272)
31.12.2019	-	(399)	-	(1,009)	(78)	(52)	(24)	(1,562)

საბალანსო ღირებულება

01.01.2018	188	2,271	-	2,168	44	26	12	4,709
31.12.2018	188	2,220	-	2,050	37	43	9	4,547
31.12.2019	188	2,169	2,052	6,159	43	38	18	10,668

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით სს „საქართველოს ბანკისგან“ მიღებული სესხები უზრუნველყოფილია კომპანიის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონებით, კერძოდ მიწა და შენობა-ნაგებობით, ჯამური საბალანსო ღირებულება დატვირთული აქტივების შეადგენს 4,409 ათას ლარს (2018: 2,408 ათასი ლარი).

კომპანია საკუთარი და მოზიდული სახსრებით აშენებს ქარხანას.

2019 წელს კომპანიამ ფინანსური იჯარით შეიძინა მანქანა-დანადგარები, რომლის ღირებულება აღიარა 1,660 ათასი ლარით.

6. მარაგები

	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018	01 დეკემბერი 2018
ნედლეული და მასალა	12,167	6,233	3,955
მზა პროდუქცია	12	35	-
სულ მარაგები:	12,179	6,268	3,955

7. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018	01 იანვარი 2018
სავაჭრო მოთხოვნები	19,989	17,098	7,682
სავაჭრო მოთხოვნების ანარიცხები	(267)	-	-
სასესხო მოთხოვნები	402	4,437	-
გადახდილი ავანსები	317	2,076	-
მისაღები პროცენტები	360	125	-
სულ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	20,801	23,736	7,682

8. საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობაში შესული ცვლილების მიხედვით, 2016 წლის პირველი იანვრიდან, გადასახადების გადახდა ხდება ხაზინის ერთიანი ანგარიშის გადასახადებისთვის განკუთვნილ ერთიან სახაზინო კოდზე. შედეგად 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებულ ფინანსურ ანგარიშგებაში კომპანიას საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები წარმოდგენილი აქვს ურთიერთგადაფარვით.

9. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018	01 დეკემბერი 2018
ფულადი სახსრები ეროვნულ ვალუტაში	230	33	69
ფულადი სახსრები უცხოურ ვალუტაში	-	729	-
ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში	-	-	2
უცხოური ვალუტა რეზიდენტ ბანკში	-	129	3
საერთო ჯამში:	230	891	74

10. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018	01 დეკემბერი 2018
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	6,013	7,228	4,979
გადასახდელი ხელფასები	46	20	14
სულ დავალიანება:	6,059	7,248	4,993

11. მიმდინარე და გრძელვადიანი სასესხო ვალდებულება

	დასრულების თარიღი	საპროცენტო განაკვეთი	ვალუტა	31.12.2019	31.12.2018
სს საქართველოს ბანკი	14/08/2023	13%	GEL	1,500	817
სს საქართველოს ბანკი	14/08/2023	13%	GEL	5,000	30
სს საქართველოს ბანკი	14/08/2019	9,5%	USD	335	2,000
სს საქართველოს ბანკი	07/09/2019	9,5%	USD	-	2,500
სს საქართველოს ბანკი	07/09/2019	9,5%	USD	-	114
სს საქართველოს ბანკი	10/09/2021	9,8%	USD	2,500	-
სს საქართველოს ბანკი	11/09/2020	9,8%	USD	350	-
სს საქართველოს ბანკი	08/01/2021	9,8%	USD	1,800	-
სს საქართველოს ბანკი	08/01/2021	9,8%	USD	500	-

სასესხო ვალდებულების შესახებ ინფორმაცია (გადასახდელი პროცენტების ჩათვლით), რომელიც აღებულია დაკავშირებული მხარისგან საბაზრო პროცენტით მოცემულია ოპერაციები დაკავშირებულ მხარესთან შენიშვნაში N 20.

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით სს „საქართველოს ბანკისგან“ მიღებული სესხები უზრუნველყოფილია კომპანიის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონებით, კერძოდ მიწა და შენობა-ნაგებობით, ჯამური საბალასო ღირებულება დატვირთული აქტივების შეადგენს 4,409 ათას ლარს (2018: 2,408 ათასი ლარი).

2019 წელს კომპანიამ ფინანსური იჯარით შეიძინა მანქანა-დანადგარები, ნაგულისხმევი საბაზრო საპროცენტო განაკვეთი შეადგენს 9,8%-ს.

12. ამონაგები

	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018
პროდუქციის რეალიზაცია 18%	1,830	688
პროდუქციის რეალიზაცია 0%	23,338	30,635
სულ ამონაგები	25,168	31,323

13. რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება

	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018
ნედლეულის ხარჯი	(13,747)	(14,241)
ცვეთა და ამორტიზაცია	(246)	(164)
მომუშავე პერსონალის ხარჯი	(77)	(56)
კომუნალური	(33)	(106)
მანქანა-დანადგარების მიმდინარე ხარჯები	(72)	(76)
წარმოშობის სერტიფიკატი	(34)	-
სულ	(14,209)	(14,643)

14. დისტრიბუციისა და მარკეტინგის ხარჯი

	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018
ტრანსპორტირებისა და შენახვის ხარჯები	(2,195)	(2,905)
რეკლამის ხარჯი	(277)	-
სხვა მიწოდების ხარჯი	-	(122)
სულ	(2,472)	(3,027)

15. ადმინისტრაციული და სხვა საერთო ხარჯი

	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018
საბანკო ხარჯი	(293)	(188)
სავაჭრო მოთხოვნების ანარიცხები	(267)	-
მომუშავე პერსონალის ხარჯი	(210)	(122)
სამეურნეო ხარჯები	(150)	(139)
საგადასახადო ხარჯი, მოგებით დასაბეგრი	(76)	(53)
შემენილი მომსახურების ხარჯი	(66)	(36)
წარმომადგენლობითი ხარჯი	(24)	(41)
ცვეთა და ამორტიზაცია	(26)	(26)
დაზღვევა	(14)	(14)
იჯარა	(9)	(6)
სხვა	(31)	(29)
სულ	(1,166)	(654)

16. ფინანსური შემოსავალი და ფინანსური ხარჯი

	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018
ფინანსური შემოსავალი		
გაცვლითი კურსის ცვლილებით მიღებული ეფექტი	98	228
სულ ფინანსური შემოსავალი:	98	228
ფინანსური ხარჯი	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018
საპროცენტო ხარჯი	(1,355)	(1,094)
ფინანსური იჯარა	(26)	-
სულ ფინანსური ხარჯი:	(1,381)	(1,094)

17. მიღებული დაფინანსება

კომპანიამ „შეღავათიანი აგროკრედიტის პროექტის“ ფარგლებში ა(ა)იპ სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტოსთან და სს საქართველოს ბანკთან ერთად მიიღო შეღავათიანი სესხი 328 ათასი ლარის ოდენობით, რომლითაც კომპანიამ შეამცირა საპროცენტო სესხის თანხა.

აღნიშნული პროექტის ფარგლებში მოიაზრებოდა სს ხალივ ბანკი საქართველოს წინაშე არსებული ვალდებულების დაფარვა, ღვინის საწარმოს მშენებლობა და 2019-2023 წლებში სეზონზე ყურძნის მიღება.

18. დივიდენდი

დივიდენდები აღიარდება ვალდებულებად და აკლდება მფლობელთა კაპიტალს მათი გამოცხადების და დამტკიცების პერიოდში. საანგარიშგებო პერიოდის დასრულების შემდეგ და ფინანსური ანგარიშგების გამოცემის დამტკიცებამდე გამოცხადებული დივიდენდები აისახება შემდგომი მოვლენების განმარტებით შენიშვნებში.

ბანკის სესხის ხელშეკრულების პირობის მიხედვით დაუშვებელია ისეთი ოდენობის დივიდენდების გადახდა, რაც გაუნაწილებელი მოგების ნაშთს შეამცირებს ბანკის სესხის გადასახდელი ნაშთის ჯამდე ნაკლებ სიდიდემდე.

19. პირობითი ვალდებულებები

საგადასახადო კანონმდებლობა. საქართველოს საგადასახადო და საბაჟო კანონმდებლობაში ხშირად ხორციელდება ცვლილებები, რაც იძლევა სხვადასხვა ინტერპრეტაციის შესაძლებლობას.

კომპანიის საქმიანობასა და განხორციელებულ ოპერაციებთან დაკავშირებით, ასევე ხელმძღვანელობის მიერ კანონმდებლობის ინტერპრეტაციისას, საქართველოს საგადასახადო ორგანოების მიერ მათ მიერ უკვე დამკვიდრებული პრაქტიკიდან გამომდინარე შესაძლებელია გამოყენებული იყოს განსხვავებული მიდგომა საგადასახადო შემოწმებასთან დაკავშირებით.

20. ნაშთები და ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

მხარეები ითვლება დაკავშირებულად, თუ ერთ მხარეს აქვს უნარი, გააკონტროლოს მეორე მხარე ან მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინოს მეორე მხარის ფინანსურ და საოპერაციო გადაწყვეტილებებზე. თითოეული შესაძლო ურთიერთკავშირის განხილვისას, ყურადღება ექცევა ურთიერთობის შინაარსს და არა მხოლოდ სამართლებრივ ფორმას.

დაკავშირებულმა მხარეებმა შეიძლება დადონ ისეთი გარიგებები, როგორსაც არ დადებდნენ დაუკავშირებელი მხარეები და დაკავშირებულ მხარეებს შორის დადებული გარიგებები შეიძლება არ დაიდოს იმავე პირობებითა და თანხებით, როგორითაც დაიდებოდა გარიგებები დაუკავშირებელ მხარეებს შორის.

უმალესი რანგის ხელმძღვანელი პირების ოპერაციების ნაშთები	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018
სესხები	2,427	535
გადასახდელი პროცენტები	185	5,786
შრომის ანაზღაურება	18	20
სულ:	2,630	6,341
უმალესი რანგის ხელმძღვანელი პირების კომპენსაცია ხარჯად აღიარებული	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018
შრომის ანაზღაურება	136	90
სესხები	6,348	907
სულ:	6,484	997

21. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

ფინანსური ანგარიშგება გამოსაცემად დამტკიცდა 2021 წლის 23 თებერვალს ხელმძღვანელობის მიერ.

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ პერიოდის მოვლენები არ წარმოადგენს მაკორექტირებელ მოვლენებს, რომელმაც შეიძლება გავლენა იქონიოს აქტივებსა და ვალდებულებებზე, რომლებიც აღიარებული იყო საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ან შემოსავალზე, ხარჯებსა ან ფულადი სახსრების მოძრაობაზე, რომლებიც აღიარებული იყო საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში.

კომპანიამ სასესხო ვალდებულებებიდან დაფარა 4,365 ათასი ლარის ვალდებულება.

COVID-19. 2019 წლის ბოლოს ჩინეთში გავრცელდა ინფორმაცია ახალი ვირუსის, სახელწოდებით COVID-19 (კორონავირუსი), შესახებ. საანგარიშგებო წლის ბოლოსთვის უცნობი ვირუსის მხოლოდ რამდენიმე შემთხვევა ეცნობა მსოფლიო მასშტაბით, რამაც ბიზნესზე ნეგატიური გავლენა მოახდინა. მენეჯმენტი განიხილავს აღნიშნულ მოვლენას საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ არამაკორექტირებელ მოვლენად. მიუხედავად იმის, რომ ფინანსური ანგარიშგების გამოშვების თარიღისთვის კომპანიის გაყიდვებისა და შესყიდვების პროცესში მოცემულ შემთხვევას არ ჰქონია რაიმე არსებითი გავლენა, მისი სამომავლო ეფექტის პროგნოზირება შეუძლებელია. მენეჯმენტი განაგრძობს შესაძლო ზემოქმედების მონიტორინგს და მიიღებს ყველა შესაძლო ზომას რათა მოხდეს ამ რისკების მინიმუმამდე დაყვანა.

შპს „ალკოჰოლური სასმელების ქარხანა“

მმართველობითი ანგარიშგება

მენეჯმენტის ანგარიში - ბიზნესის მიმოხილვა 2019

1. კომპანიის ბიზნესი, შედეგები და მდგომარეობა

შპს „ალკოჰოლური სასმელების ქარხანა“ (შემდგომში კომპანია) დაფუძნდა 2008 წლის 21 აპრილს და მდებარეობს საქართველოში. „კომპანია“ შეიქმნა შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების სახით საქართველოს სამეწარმეო საქმიანობის რეგულაციების შესაბამისად.

„კომპანიის“ რეგისტრირებული იურიდიული და ფაქტობრივი მისამართია: საქართველო, გარდაბნის რაიონი, ს. მარტყოფი, ვაზიანის დასახლება და საიდენტიფიკაციო კოდი: 204 553 394 .

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის მესაკუთრეებს წარმოადგენენ:

მესაკუთრე	წილი
ნიკოლოზ დავითაშვილი (პ/ნ 01012005226)	33,34%
თემური კობახიძე (პ/ნ 01011055455)	33,33%
იოსებ იმნაძე (პ/ნ 01008001903)	33,34%

„კომპანიის“ გენერალურ დირექტორად წარმომადგენლობითი უფლებამოსილებით დანიშნულია - მიხეილ ბრეგვაძე (პ/ნ 01008007110).

დასკვნის გამოცემამდე კომპანიის მესაკუთრეების სია ასე გამოიყურება:

გიორგი შანიძე (პ/ნ 01006002937)	33,33%
გიორგი დავითაშვილი (პ/ნ 01031005887) (1/4)	
ილია დავითაშვილი (3040399A003PB7, MP3484398 /ბელარუსი/ (1/4)	33,33%
იოანე დავითაშვილი (პ/ნ 01008052370) (1/4)	
ლიზი დავითაშვილი (პ/ნ 01352005961) (1/4)	
იოსებ იმნაძე (პ/ნ 01008001903)	33,34%

„კომპანიის“ ძირითადი საქმიანობა: კომპანიის ძირითადი ბიზნეს საქმიანობაა დისტრიბუციური ალკოპოლიანი სასმელების წარმოება და საბითუმო ვაჭრობა ალკოპოლიანი და სხვა სასმელებით. საქართველოს მასშტაბით „კომპანია“ ფლობს ერთ საწარმოო ობიექტს და არ აქვს ფილიალი.

2. კომპანიის სამომავლო გეგმები

2020 წელს კომპანიის მთავარი ფოკუსი იქნება გაყიდვების მოცულობის ზრდა და საოპერაციო მაჩვენებლების გაუმჯობესება.

ბიზნესის ხასიათიდან გამომდინარე, ზოგადი ზრდის გარდა, განვითარების კონკრეტული გეგმები კომპანიას არ აქვს.

3. კომპანიის მიერ ჩატარებული კვლევითი და საცდელი სამუშაოები

2019 წელს კომპანიას კომპანიას კვლევითი და საცდელი სამუშაოები არ ჩატარებია.

4. ინფორმაცია კომპანიის ფილიალების შესახებ

კომპანიას ფილიალები არ აქვს.

5. ძირითადი ფინანსური და არაფინანსური ინდიკატორები

ძირითადი ფინანსური ინდიკატორების ანალიზი:

		2019	2018
1	შემოსავალი	25 168	31 323

- I. ურთიერთობა თანამშრომლებთან. კომპანიას გააჩნია მოწესრიგებული დაქირავების პოლიტიკა და სამსახურში მიიღებიან მხოლოდ შესაბამისი კვალიფიკაციის, გამოცდილებისა და უნარების მქონე კანდიდატები.

- II. ურთიერთობა მომწოდებელთან და კლიენტებთან. კომპანიას მტკიცე პროფესიული ურთიერთობა აკავშირებს კლიენტებთან და ხასიათდება კლიენტებზე მზრუნველი, ერთგული და მაღალი ხარისხის მომსახურებით.
- III. ურთიერთობა საგადასახადო ორგანოებთან. კომპანიის საგადასახადო აღრიცხვის სისტემა კარგად იმართება. ჯგუფის ბუღალტრული აღრიცხვის დეპარტამენტში დასაქმებულები არიან საგადასახადო კანონმდებლობაში გამოცდილი თანამშრომლები, რომლებიც, კომპანიაზე მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობაში გათვითცნობიერების მიზნით, რეგულარულად ესწრებიან საქართველოში მოქმედი წამყვანი აუდიტორული კომპანიების მიერ ჩატარებულ საგადასახადო ტრენინგებს.

6. დეტალური ინფორმაცია საკუთარი აქციების შესყიდვის შესახებ

2019 წელს კომპანიას საკუთარი აქციების შესყიდვა არ განუხორციელებია.

7. წლიურ ფინანსურ ანგარიშგებაში მოცემული თანხების დამატებითი განმარტება

- ბაზარზე წამყვან პოზიციასა და ძლიერ ფინანსურ მაჩვენებლებს რამდენიმე მნიშვნელოვანი ფაქტორი განაპირობებს:
 - მომსახურება და კლიენტების კმაყოფილება - როგორც უკვე აღინიშნა, კომპანიის მენეჯმენტი დიდ ყურადღებას აქცევს თანამშრომელთა კვალიფიკაციას, რომელთაგან თითოეული კარგად მომზადებული პროფესიონალია.
 - საქმიანობის მართვა - კომპანიას მრავალი წელია ბაზარზე წამყვანი პოზიცია აქვს.

8. კომპანიის საკრედიტო, საბაზრო, ლიკვიდობისა და ფულადი ნაკადების რისკებისა და მათი მართვის მექანიზმების მიმოხილვა.

- საკრედიტო რისკი. კომპანიაში ანგარიშსწორება ხორციელდება ძირითადად უნაღდო ანგარიშსწორების სახით. მოთხოვნების ამოღების პრობლემა კომპანიას არ უდგას.
- ლიკვიდობის რისკი. ლიკვიდობის რისკი წამოიშობა საბრუნავი კაპიტალისა და ძირითადი ვალდებულებების დაფარვის მართვასთან დაკავშირებით. ეს არის იმის რისკი, რომ კომპანიას გაუძნელდება ვადადამდგარი ფინანსური ვალდებულებების შესრულება. კომპანიის მიდგომა ლიკვიდობის მართვის მიმართ გულისხმობს იმის შეძლებისდაგვარად უზრუნველყოფას, რომ მას ყოველთვის ექნება საკმარისი ლიკვიდობა ვადადამდგარი ვალდებულებების დასაფარად როგორც

ჩვეულებრივ, აგრეთვე სტრესულ პირობებში და არ დასჭირდება მიუღებელი ზარალის გაწევა ან კომპანიის რეპუტაციის რისკის ქვეშ დაყენება.

ლიკვიდობის რისკის ფრთხილი მართვა გულისხმობს საკმარისი ოდენობის ნაღდი ფულის ქონასა და დაფინანსების ხელმისაწვდომობას გარანტირებული საკრედიტო საშუალებების რაოდენობის მეშვეობით.

9. ძირითადი რისკები და განუსაზღვრელობები, საწარმოს მიზნები და ფინანსური რისკის მართვის პოლიტიკა

ძირითადი რისკები და განუსაზღვრელობები დაკავშირებულია შემდეგთან:

- **სავალუტო რისკი.** სავალუტო რისკი არის გაცვლითი კურსის ცვლილების გამო ფინანსური ინსტრუმენტების ღირებულების შეცვლის რისკი.
კომპანიას მოქმედი გაცვლითი კურსების მერყეობის რისკი ეკისრება ფინანსურ მდგომარეობასა და ფულად ნაკადებზე.
- **პოლიტიკური რისკები.** არასტაბილურ პოლიტიკურ გარემოს შეუძლია უარყოფითად იმოქმედოს მოთხოვნაზე, შემოსავალსა და მომგებიანობაზე. მენეჯმენტი ყურადღებით ადევნებს თვალს პოლიტიკური გარემოს განვითარებას, მოვლენათა პოტენციური განვითარების პროგნოზისა და პოტენციურ საფრთხეებზე რეაგირების მიზნით.
- **მონაცემთა უსაფრთხოების რისკი.** კომპანიაში დიდი ინფორმაცია გროვდება დამკვეთების შესახებ (სახელები, მისამართები, საკრედიტო ბარათებზე ინფორმაცია და ა.შ). კომპანია დავალებათა ავტომატიზებისა და მონაცემთა მართვისათვის ციფრულ სისტემებს იყენებს, რაც მინიმუმამდე ამცირებს სისტემაში უკანონოდ შეღწევის პოტენციურ რისკს.
- **საბაზრო რისკი.** კომპანიაზე მოქმედებს საბაზრო რისკები, რომლებიც გამოწვეულია (ა) უცხოურ ვალუტებში, (ბ) პროცენტიან აქტივებსა და ვალდებულებებში. მენეჯმენტს დაწესებული აქვს რისკის მისაღები ოდენობის ზღვარი, რომლის მონიტორინგი ხდება ყოველდღიურად. თუმცა, ამ მიდგომის გამოყენება, ბოლომდე არ აღმოფხვრის ზარალს და ამ ლიმიტებს მიღმა ზარალის ძლიერი მერყეობას.
- **საპროცენტო განაკვეთთა რისკი.** კომპანიაზე მოქმედი საპროცენტო განაკვეთის რისკი წარმოიშობა საბაზრო საპროცენტო განაკვეთების მოქმედი დონეების მერყეობის ფინანსურ მდგომარეობასა და ფულად ნაკადებზე ზემოქმედების გამო.

დირექტორი: მიხეილ ბრეგვაძე

თარიღი: 23-02-2021წ.